არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"

N226 17 ოქტომბერი 2023 წელი

ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" 2023 წლის 9 თვის ანგარიში

ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" წარმოგიდგენთ 2023 წლის 9 თვის ანგარიშსს :

2023 წელს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ბიუჯეტი შეადგენს - 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარს, 9 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა - 2021422 (ორი მილიონ ოცდაერთი ათას ოთხასოცდაორი) ლარი. საკვებ პროდუქტებზე გაიხარჯა - 378516 (სამას სამოცდათვრამეტი ათას ხუთას თექვსმეტი) ლარი, ხოლო კომუნალურ და საოფისე ხარჯებზე გახარჯულია 493297 (ოთხას ოთხმოცდაცამეტი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი)ლარი.

დღეის მდგომარეობით ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში" შემავალი საბავშვო ბაღებიდან ჭიაურისა და ჭაბუკიანის საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს მშენებლობა. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი გათვლილია 100 აღსაზრდელზე და მისი გახსნა დაგეგმილია ნოემბრის თვეში, შესაბამისად ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ის მიერ მოხდა ავეჯისა და რბილი ქსოვილის შეძენა, რათა სრულად მოხდეს საბავშვო ბაღის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა. ავეჯის შესაძენად გაიხარჯა 43900 ლარი, ხოლო რბილი ქსოვილის შესაძენად 15900 ლარი. აგვისტოს თვეში ასევე მოხდა ჭურჭლისა და სათამაშოების შეძენა, ჭურჭელი გათვლილია ჭაბუკიანის საბავშვო ბაღისთვის, ხოლო სათამაშოები განაწილდება სხვა ბაღებშიც.
დღეის მდგომარეობით ასევე მიმდინარეობს მსხალგორის, ჩადუნიანის, გვიმრიანის და ბაღდადის შენობების დემონტაჟი რის შემდგომაც დაიწყება ახალი ბაღების მშენებლობა. ახალი ბაღი ასევე აშენდება არეშფერანსა და განჯალაში.

2023 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ის მიერ გამოცხადდა ტენდერები საკვებ პროდუქტებზე, რომლითაც დეკემბრის ბოლომდე უზრუნველყოფილნი იქნებიან აღსაზრდელები.

2023 წლის აგვისტოს თვეში ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში მიმდინარეობდა განცხადებების მიღება ბავშვთა ბაღებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

18 სექტემბერს მუნიციპალიტეტში არსებულმა ბაღებმა დაიწყო ფუნქციონირება და ჯამში აღსაზრდელთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 1338 ბავშვი.

მუნიციპალიტეტში არსებული 2 ბაღი გვიმრიანისა და ბაღდადის საბავშვო ბაღები მუშაობას განაახლებენ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღში, რომელიც როგორც უკვე მოგახსენეთ გაიხსნება ნოემბრის თვეში.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ს, მასში შემავალი საბავშვო ბაღებისთვის შესყიდული აქვს საკანცელარიო ნივთები, რომელთა ბაღებისთვის გადაცემა ხდება ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ. ამ ეტაპზეც ყველა ბაღი უზრუნველყოფილია საკანცელარიო ნივთებით.

როგორც მოგეხსენებათ, ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში მიმდინარეობდა თვითშეფასების ეტაპი, რაც ავტორიზაციის პროცესისთვის აუცილებელი პირობაა და რომელიც დავასრულეთ სექტემბრის თვეში.
ამავე თემასთან დაკავშირებით 20-21 სექტემბერს ქალაქ თბილისში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორგანიზებული შეხვედრა გაერთიანებების ხელმძღვანელებთან, რომელსაც დაესწრო ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

2023 წლის 28 სექტემბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების აღმზრდელები ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის ოფისში გაეცნენ მაკ ჯორჯიას წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ პლატფორმა „შეაღე“-ს.

ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

233146798

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: მარიამ გოგოლაძე

ქ.ლაგოდეხი 2700. 26 მაისის ქ. №25

ტელ: 595002718